

საქართველო **Сакартвело** საქართველო

#2 (11) 2011



საქართველო **საქართველო**

სარჩევი

ЗМІСТ

პატრიარქის ვიზიტი	4	ВІЗИТ ПАТРІАРХА
საქართველოს განათლების მინისტრის ინტერვიუ	6	ІНТЕРВ'Ю МІНІСТРА ОСВІТИ ГРУЗІЇ
«მე არასოდეს არ წავსულვარ საქართველოდან»	12	«Я НІКОЛИ НЕ ПОЛИШАВ ГРУЗІЇ»
საქართველოში უკრაინისადმი ინტერესი არასდროს განელდება	16	У ГРУЗІЇ ІНТЕРЕС ДО УКРАЇНИ НІКОЛИ НЕ ВЩУХНЕ
საბავშვო გვერდი	24	СТОРІНКА ДЛЯ ДІТЕЙ
თბილისის საზაფხულო სკოლა: უკრაინელი მოგზაურის ჩანაწერები	26	ЛІТНЯ ШКОЛА В ТБІЛІСІ: ПОДОРОЖНІ НОТАТКИ УКРАЇНКИ З ЛУГАНСЬКА
ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი 15 წლისაა	34	ГРУЗИНСЬКОМУ КУЛЬТУРНО-ОСВІТНЬОМУ ЦЕНТРУ 15 РОКІВ
დონეცკში წმინდა გიორგის ხატი გაიხსნა	39	У ДОНЕЦЬКУ ВІДКРИТО ПАМ'ЯТНИК СВЯТОМУ ВЕЛИКОМУЧЕНИКУ ГЕОРГІЮ ПОБІДОНОСЦЮ

პატრიარქის ვიზიტი ВІЗИТ ПАТРІАРХА



ამა წლის 25 ივლისს უკრაინის დედაქალაქ კიევს ოფიციალური ვიზიტით ეწვია დიდი მეუფე, უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, მამაი ჩვენი ილია II.

ეს გახლდათ ყველაზე საინტერესო და ემოციური მოვლენა უკრაინაში მეოფე ყველა ქართველისთვის. უკრაინის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ ქართველები კურთხევის მისაღებად, ისინი ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი დრო გაეტარებინათ უწმინდესისა და უნეტარესის სიახლოვეს. მისი ექვსდღიანი ვიზიტის დროს ცოტა ვინმე თუ აცნობიერებდა იმას, რომ ჩვენ გავხდით უდიდესი ისტორიული მოვლენის თანამონაწილენი.

26 ივლისს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II—მ, უწმინდესმა სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილემ და უნეტარესმა კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტმა ერობლივად აღასრულეს კიევის რუსეთის გაქრისტიანების 1023 წლისადმი მიძღვნილი ლოცვა კიევის რუსეთის განმანათლებელ მოციქულის სწორ ვლადიმერის ძეგლთან.

ამ ვიზიტის ფარგლებში შედგა ოფიციალური შეხვედრა უწმინდესსა და უნეტარესსა და უწმინდეს სრულიად რუსეთის პატრიარქს შორის. მათ განიხილეს აფხაზეთში და ცხინვალში ეკლესიების კონტროლიდან დაკავშირებით შექმნილი პრობლემები. სრულიად რუსეთის პატრიარქმა დაადასტურა აფხაზეთში და სამაჩაბლოში არსებულ მართლმადიდებლურ ეკლესიებზე

25 липня офіційним візитом до столиці України, Києва, прибув Святійший і Блаженніший Католикос-Патріарх всія Грузії, Архієпископ Мцхетський і Тбілісійський та митрополит Піцунди та Цхум-Абхазети, Отець наш, Ілля II.

Це стало найцікавішою та емоційною подією для усіх грузин, що проживають в Україні. Грузини приїхали з усіх куточків України для благословення, вони намагались проводити якомога більше часу з Святійшим і Блаженнішим. Під час його шестиденного візиту мало хто уявляв, що ставесвідком історичної події.

26 липня Святійший і Блаженніший Ілля II, Святійший Патріарх Московський і всієї Русі - Кирило I та Блаженніший Митрополит Київський і Всієї України – Володимир разом провели молитву присвячену 1023-ій річниці християнізації Київської Русі біля пам'ятнику Хрестителя і Просвітителя Київської Русі Володимира Святого.

В рамках цього візиту відбулась зустріч Святійшого і Блаженнішого Іллі II та Святійшого Патріарха Московського і всієї Русі Кирила I. Вони розглянули проблеми щодо контролю церков на територіях Абхазії та Цхинвалі. Патріарх всієї Русі підтвердив юрисдикцію грузинського патріархату над церквами в Абхазії та Південній Осетії.

საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქცია.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობები და აღნიშნეს, რომ აუცილებელია პოლიტიკის მშვიდობიანი გზით წარმართვა და ხალხთა შორის ძველი, კეთილი და მეგობრული ურთიერთობების აღდგენა.

28 ივლისს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ეწვია კიევო—პეჩერსკის ლავრას, სადაც ასობით ქართველი, უკრაინელი და რუსი მორწმუნე ესწრებოდა საღმრთო წირვას.

უწმინდესმა და უნეტარესმა თავისი ვიზიტის დროს კიევის ბევრი სიწმინდე მოინახულა, განსაკუთრებულად მინდა აღენიშნო ვიზიტი სოფის ტაძარში, აქ მე მერგო უდიდესი ბედნიერება — საშუალება მომეცა უწმინდესისა უნეტარესისაგან ამელო კურთხევა და მის გვერდით მეველო ტაძრის დათვალიერების პროცესში. ტაძრის პერსონალმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ძალიან გულთბილი შეხვედრა მოუწყო. ასევე ანახეს ცნობილი



უკრაინელი ფერმწერის მიერ შესრულებული ფრესკა, სადაც თავად იყო გამოსახული. უწმინდესმა ტაძრის გიდი ეკლესიური სამაჯური დაასაჩუქრა და თავადაც გაუკეთა ხელზე.

უწმინდესმა დიდი ყურადღება გამოავლინა კიევში არსებულ ქართულ სამრევლოზე და სამრევლოს წინამძღვარი მღვდელი კახაბერი დეკანოზის ხარისხში აიყვანა და გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა. რის შემდეგაც კიევის სამრევლო უშუალოდ საქართველოს საპატრიარქოს დაუქვემდებარა.

30 ივლისს უწმინდესმა და უნეტარესმა კიევო—პეჩერსკის ლავრის სასულიერო აკადემიის სტუდენტები მოინახულა, შემდეგ გაემგზავრა ფეოფანიაში დედათა მონასტრის მოსანახულებლად. ამავე დღეს მიტროპოლიტ ვლადიმერთან საგანგებო ტრაპეზის შემდეგ უწმინდესი და უნეტარესი საქართველოში გაემგზავრა.



На зустрічі також обговорили напружені політичні відносини між Росією та Грузією та відмітили зазначили важливість проведення мирної політики та потребу відновити старі, добрі відносини між людьми.

28 липня Святійший і Блаженніший Патріарх Грузії відвідав Києво-Печерську Лавру, де сотні грузин, українців та росіян прийшли на літургію Господню.

Святійший і Блаженніший під час свого візиту відвідав багато святих місць. Окремо приділю увагу його візиту до Софійського собору - для мене було великим щастям отримати благословення та супроводжувати його під час огляду собору, робітники якого дуже тепло зустріли Патріарха Грузії. Йому показали фреску відомого українського живописця, де був зображений Святійший і Блаженніший. Патріарх нагородив гідів собору церковним



браслетом і сам надів йому на руку.

Святійший приділив велику увагу до грузинських парафіян, підвищив святого отця Кахабери до звання Декану та нагородив його хрестом, після чого київську парафію підчинив грузинському патріархату.

30 липня Святійший і Блаженніший, Патріарх Грузії відвідав студентів духовної академії Києво-Печерської Лаври, після чого, поїхав у Феофанію до жіночого монастиря. Того ж дня, після трапези з Митрополитом Володимиром, Святійший і Блаженніший повернувся до Грузії.

პირველად ისტორიაში საზღვარგარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლები ერთიან სასწავლო გეგმაში მოექცა

ВПЕРШЕ В ІСТОРІЇ ГРУЗІЇ УСІ ІСНУЮЧІ ЗАКОРДОНОМ НЕДІЛЬНІ ШКОЛИ ОБ'ЄДНАЛИ ЄДИНИМ ОСВІТНІМ ПЛАНОМ



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მრავალი ნოვატორული პროექტის ავტორია. სამინისტრომ საგანმანათლებლო სივრცის ყველა მიმართულებით უზარმაზარი რეფორმები განახორციელა. რეფორმების შედეგად განათლების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სახელმწიფომ მრავალი დადებითი ნაბიჯი გადადგა განათლების სისტემის გასაჯანსაღებლად. რამდენიმე კვირის წინ კი საზღვარგარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლებისთვის ერთიანი სასწავლო პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. ისტორიაში პირველად საკვირაო სკოლები ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმის ქოლგის ქვეშ მოექცა, რამაც პედაგოგებსა და მოსწავლეებს სწავლის პროცესის უკეთ წარმართვისა და განათლების ხარისხის ამაღლების მეტი შესაძლებლობა მისცა. რა სიახლეებსა და ინოვაციურ პროექტებს გეგმავს სამინისტრო, როგორი წარმატებით მიმდინარეობს განათლების რეფორმა საქართველოში? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე საქართველოს განათლების მინისტრ დიმიტრი შაშკინს ესაუბრა ჟურნალ „საქართველოს“ კორესპონდენტი ლელა კიკალაიშვილი.

— ბატონო დიმიტრი, პირველ რიგში ვისაუბროთ განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებზე. რა მიღწევები აქვს სამინისტროს დღეს და როგორ შეიცვალა განათლების სისტემა საქართველოში?

—სამწუხაროდ, საქართველოს არააქვს არც გაზი და არც ნავთობი.

Мინისტрство освіти та науки Грузії – автор багатьох новаторських проєктів. Воно провело масштабні реформи в усіх напрямках освітньої сфери, що значно покращило якість освіти. Держава зробила багато позитивних кроків для оздоровлення освітньої системи. А кілька тижнів тому відбулась презентація єдиної навчальної програми для недільних шкіл закордоном. Вперше в історії Грузії усі недільні школи закордоном об'єднали єдиним освітнім планом, що надає можливість педагогам та учням удосконалювати навчальний процес та підвищувати якість освіти. Які нововведення та інноваційні проєкти пропонує Міністерство, і наскільки успішно проходить освітня реформа у Грузії? Про це та інше наш кореспондент Лейла Кікалейшвілі розмовляла з міністром освіти Грузії Дмитром Шашкіним.

— Пане Дмитре, перш за все поговоримо про реформи в освітній галузі. Які є досягнення у Міністерства на сьогодні і як змінилась освітня система Грузії?

— На жаль, у Грузії нема ані газу, ані нафти. Все що ми маємо – це інтелектуальний потенціал грузинського народу. Виходячи з цього освіта – це одна з основних сфер, від яких залежить розвиток країни. Майбутнє

раც ჩვენ გაგვაჩნია ეს არის ქართველი ხალხის ინტელექტუალური პოტენციალი. აქედან გამომდინარე, განათლება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, იმისათვის რომ ქვეყანა განვითარდეს. მთლიანად ჩვენი ბავშვებისა და განათლების სისტემის ხელშია ქვეყნის განვითარება და მომავალი. ამ დროისათვის რეფორმა განათლების სისტემაში 42 მიმართულებით მიმდინარეობს. ბევრი რამ გაკეთდა, კეთდება და გაკეთდება. განათლების სფეროში რეფორმა უწყვეტი პროცესია და არასოდეს ჩერდება. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც უკვე მიღწეულია — სისტემა მთლიანად არაკორუმპირებულია.

ევროკავშირის ბოლო გამოკვლევის შედეგად საქართველოს განათლების სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროსთან ერთად აღიარეს, ყველაზე არაკორუმპირებულ სისტემად. ჩვენი ბავშვები უმაღლეს სასწავლებლებში თავისი ნიჭითა და შრომით აბარებენ, ეს დიდი მიღწევაა.

— რას ითვალისწინებს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა?

— 15 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ახალი ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც 1—ლი—მე—6 კლასების მოსწავლეებს ეხებათ. მომავალ წელს კი მე—7—მე—12 კლასებში დაინერგება.

როგორც აღვნიშნე, რეფორმა განათლების სისტემაში 42 მიმართულებით მიმდინარეობს. ძნელია ყველა მათზე საუბარი. გამოვყოფდი რამდენიმეს: როცა ვსაუბრობთ აკადემიურ ხარისხზე და აკადემიურ პროგრამებზე სკოლებში, მნიშვნელოვანია ისეთი საგნების წახალისება, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია. გლობალიზაციის პირობებში საინჟინრო კადრების დეფიციტი ბევრ ქვეყანას აწუხებს. ჩვენთვის პრიორიტეტია ის, რომ წელს ამ ფაკულტეტებზე აბიტურიენტთა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა, ასეთი მაჩვენებელი ჩვენს ისტორიას არ ახსოვს.

2011 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგთა მაჩვენებელი ათი სტუდენტიდან, ათივემ მათემატიკის ფაკულტეტი აირჩია, აქედან რვა ბიჭი და ორი გოგო. ეს შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან 90—იანი წლების დასაწყისში ბიჭებისთვის საქართველოში სწავლა არ იყო პრესტიჟული. დღეს ეს ყველაფერი იცვლება და სულ სხვა რეალობის წინაშე ვდგებით.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საჯარო სკოლაში ორი უცხო ენა ისწავლება. 1—ლი კლასიდან იწყება ინგლისური ენის სწავლება, მე—7 კლასიდან კი შემოდის დისიპლინა — მეცნიერება. ასეთივე საგანი არსებობს დიდ ბრიტანეთში და ის არის შესავალი ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის. მე—8 კლასიდან კი იყოფა და მოწაფე უფრო მარტივად ითვისებს საგანს. მე—12 ძირითადად დატვირთულია აბიტურით, ანუ ბავშვი იმეორებს წინა წლებში განვლილ საგნებს და ემზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, რომლებიც ჩვენი რეფორმის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ასევე არის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის, წელს ყველა პირველ კლასელსა და მათს დამრიგებლებს სკოლებში

держави – в руках наших дітей та освітян. Нині реформа освітньої системи відбувається за сорока двома напрямками. Багато що було зроблено, багато що робиться і робитиметься далі. Реформа в освітній сфері – процес який постійно триває і ніколи не припиниться. Що важливо із того, що вже досягнуто – нова система абсолютно не корумпована.

За останніми дослідженнями Євросоюзу, Міністерство освіти Грузії разом із міністерствами внутрішніх справ, оборони та юстиції були визнані найбільш некорумпованими системами. Наші діти вступають у вищі навчальні заклади завдяки власним здібностям та праці – це велике досягнення.

- Що передбачає новий національний навчальний план?

- З 15 вересня вступив у дію новий єдиний національний план, який стосується школярів 1-6 класів. З наступного року план діятиме і для 7-12 класів. Як я вже зазначав, реформа освітньої системи впроваджується за 42 напрямками. Дуже складно розповісти про все, тому я б виділив кілька: коли ми говоримо про академічну якість та академічні програми у школах, важливо стимулювати розвиток математики, хімії, біології, фізики. У період глобалізації дефіцит інженерних кадрів турбує чимало країн. Для нас є пріоритетом щоб цього року кількість абітурієнтів на цих факультетах виросла вдвічі. Такого показника в нашій історії ще не було.

В 2011-му році з десятих учнів, які найкраще склали національні іспити, всі десять обрали навчання на математичну факультеті, з них вісім хлопців і двоє дівчат. Цей результат є дуже важливим, оскільки на початку 90-х для хлопців не було престижним здобувати вищу освіту. Нині все інакше – ми постаємо перед зовсім іншою реальністю.

За національним навчальним планом у школі вивчають дві іноземні мови. З першого класу починається вивчення англійської, з сьомого класу – нової дисципліни під назвою «наука». Схожий предмет є у Великій Британії, і він є вступом до фізики, хімії та біології. З восьмого класу ця дисципліна ділиться на відповідні підрозділи, таким чином учневі легше опановувати предмет. 12-й клас в основному навантажений повторенням пройдених дисциплін і підготовкою до єдиних національних іспитів, які є важливим компонентом наших реформ.

Також є й інші важливі моменти. Зокрема, цього року всі першокласники та їхні класні керівники отримали персональні комп'ютери, які були зібрані на спеціалізованому заводі в Грузії. Також кожен відмінник 10-го класу отримує персональний комп'ютер



დახვდა პერსონალური კომპიუტერები, რომლებიც საქართველოში, ალგორითმის ქარხანაშია აწყობილი. ასევე ყველა ფრიადოსანი მე–10 კლასელი საჩუქრად იღებს პერსონალურ კომპიუტერს — ეს მათი პირადი საკუთრებაა. ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნა არ ნიშნავს, რომ ბავშვი განათლებულია, ეს ნიშნავს იმას, რომ ბავშვს აქვს სერიოზული შესაძლებლობა სწავლის პროცესის დასრულების შემდეგ თვითგანათლებაზე იმუშაოს. განათლების სისტემის ნებისმიერი ექსპერტი გეტყვით, რომ თვითგანათლების კომპონენტი განათლების სისტემაში უმნიშვნელოვანესია.

— რამდენიმე კვირის წინ საზღვარგარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლების ერთიანი სასწავლო პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. უფრო ვრცლად, რომ გვესაუბროთ ამ სასწავლო პროგრამის შესახებ?

— 2 წელია ვარ განათლების მინისტრი და როცა მიწევს სხვადასხვა ქვეყანაში ჩასვლა, აუცილებლად ვხვდები საკვირაო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს. ჩემი ერთ–ერთი პირველი შეხვედრა იყო ლონდონში. მთავარი პრობლემა, რაც იქ დამხვდა, სახელმძღვანელოების უქონლობა იყო. სკოლები იყენებდნენ სახელმძღვანელოებს, რომლებიც გათვლილია ჩვეულებრივი საჯარო სკოლისთვის. მათთვის ამ სახელმძღვანელოების გამოყენება ძალიან რთულია, რადგან სწავლა მაქსიმუმ ორი დღეა. საკვირაო სკოლის ამოცანა — ეს არის მაქსიმალურად კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნა. აქ ძირითადად ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს გეოგრაფია და ისტორია

უ პოდарунок, який стає його приватною власністю. Знання англійської мови та комп'ютерних дисциплін ще не означає, що дитина отримала належну освіту. Це означає, що дитина має хороші можливості після закінчення навчання розвиватися далі. Будь–який педагог скаже вам, що момент самоосвіти у навчальній системі є найважливішим.

- Кілька тижнів тому відбулася презентація єдиної навчальної програми для грузинських недільних шкіл закордоном. Чи не могли б Ви детальніше розповісти про неї?

- Два роки я перебуваю на посаді міністра освіти і, коли доводиться їздити за кордон, обов'язково зустрічаюся з учнями та викладачами недільних шкіл. Одна з перших таких зустрічей відбулась у Лондоні. Одна з основних проблем які я там побачив – відсутність підручників. Недільні школи використовували посібники призначені для звичайних загальноосвітніх шкіл. Користуватися такими підручниками для учнів цих шкіл було дуже важко, адже навчання у них відбувається максимум два дні на тиждень. Основним завданням недільної школи є створення максимально комфортної атмосфери для навчання. Тут в основному вивчають грузинську мову, літературу, географію та історію. Тому за моїм завданням

ісწავლება. ამიტომ მე მივეცი დავალება და ერთ წელიწადში შეიქმნა სახელმძღვანელოები, რომლებიც ზუსტად საკვირაო სკოლისთვის არის გათვლილი. ეს არის უფასო და ელექტრონული ფორმატი. მისი ინტერნეტით გადმოწერის შესაძლებლობა და სწავლის პროცესში გამოყენება ყველას შეუძლია.

გარდა ამისა, რამდენიმე კვირის წინ საქართველოს პრეზიდენტმა თბილისში «პირველი მასწავლებლის» სახლი გახსნა, რომელსაც ბევრი რესურსი და შესაძლებლობა აქვს. შაბათს ჩვენ გვექნება პირდაპირი ონლაინ გაკვეთილი საფრანგეთის საკვირაო სკოლის პედაგოგებთან, რომლის დროსაც წამყვანი მასწავლებლები თბილისიდან მასტერ კლასებს ჩაატარებენ. ჩემი დავალებით ყოველ შაბათს მოეწყობა ონლაინ გაკვეთილები როგორც გვივის, ასევე სხვა საკვირაო სკოლის პედაგოგებთან. ეს მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის უკეთესად წარმართვის შესაძლებლობას მისცემს. მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ პირველად ჩვენს ისტორიაში საკვირაო სკოლები ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმის ქოლგის ქვეშ მოვაქცევით. ეს არის იმის გარანტი, რომ განურჩევლად ყველა ბავშვი, სწავლობს ის საკვირაო თუ საჯარო სკოლაში, ისარგებლებს ერთიანი სასტარტო პოზიციით. შემდგომ უკვე ბავშვება დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებს მიწოდებულ ინფორმაციას.

— რა შედეგებით ისარგებლებენ საკვირაო სკოლის კურსდამთავრებულები და სკოლის მოსწავლეები თუ ისინი სწავლას საქართველოში გააგრძელებენ?

— ვფიქრობ, რომ ჩვენ გვაქვს ერთ–ერთი ყველაზე ლიბერალური კანონმდებლობა. ბავშვი, რომელიც ამთავრებს საკვირაო სკოლას საზღვარგარეთ, არ არის საქართველოს მოქალაქე და სურს სწავლის გაგრძელება საქართველოში, მას ეროვნული გამოცდების გარეშე შეუძლია უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება, თუ ბავშვი საქართველოს მოქალაქეა, მას ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება მოუწევს. ადრე არსებობდა ბიუროკრატიული პრობლემები. დღეს ვითარება შეიცვალა. თუ მოსწავლე სწავლის გაგრძელებას საქართველოში გადაწყვეტს, მას თავისუფლად შეუძლია აიღოს ვაუჩერი და მეორე დღესვე ჩაერთოს სწავლის პროცესში. თუ ბავშვი არ არის საქართველოს მოქალაქე ის ყიდულობს ვაუჩერს და მიდის სკოლაში. ადრე მშობლებს საბუთების მოგვარებაზე სირბილი და ატესტატის ჩამოსვლამდე ლოდინი უწევდათ. საბედნიეროდ ეს პრობლემა მოგვარებულია. საკვირაო სკოლების ერთიანი სასწავლო გეგმის ქოლგის ქვეშ მოქცევა იძლევა ჩვენ მიერ საკვირაო სკოლაში მიღებული ცოდნის აღიარების საშუალებას. ვთქვათ, ბავშვი არის ქართველი, მაგრამ უკრაინის მოქალაქე, მას შეუძლია პირდაპირ, ეროვნული გამოცდების გარეშე, მოხვდეს უმაღლეს სასწავლებელში, თუმცა ვერ მიიღებს გრანტს, რადგან სახელმწიფო გრანტი მხოლოდ გამოიყოფა საქართველოს მოქალაქეებისთვის. თუ აქვს სურვილი აიღოს გრანტი, მოუწევს ოთხივე გამოცდის ჩაბარება.

— რამდენად წარმატებულია მასწავლებელთა სერტიფიცირება და იქნებიან თუ არა სკოლებში 2014 წლის შემდეგ არასერტიფიცირებული პედაგოგები?

— ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის მასწავლებლის

впродовж року були створені підручники, які розраховані саме для недільних шкіл. Вони видані в електронному форматі, тому за допомогою Інтернету будь-хто має можливість безкоштовно скопіювати ці підручники й використовувати їх у навчальному процесі.

Окрім цього кілька тижнів тому Президент Грузії у Тбілісі відкрив новий будинок «Першого вчителя», який має дуже багато ресурсів та можливостей. У суботу в нас буде перший урок з прямою трансляцією, під час якого провідні вчителі Тбілісі проведуть майстер-класи для вчителів недільних шкіл Франції. За моїм завданням такі онлайн-уроки з учителями різних країн відбуватимуться щосуботи. Участь братимуть і київські вчителі грузинських недільних шкіл. Це надасть можливість краще провадити навчальний процес і підвищувати кваліфікацію вчителів. Важливо також і те, що вперше у нашій історії недільні школи були об'єднані в єдину систему. Це буде гарантією того, що без відбору кожна дитина, незалежно від того навчається вона у недільній школі чи у звичайній загальноосвітній, буде користуватися єдиною стартовою позицією при вступі до вищого навчального закладу. А далі вже від дитини залежить наскільки вона вміло використає отримані знання.

- Якими підльгами користуватимуться випускники недільних шкіл, якщо вони захочуть продовжити навчання на Батьківщині?

- Гадаю, ми маємо одне із найліберальніших законодавств у цій сфері. Дитина, яка закінчила недільну школу за кордоном, не є громадянином Грузії, але має бажання продовжити навчання у Грузії, має право вступу до вищого навчального закладу без національних екзаменів. Якщо ж дитина є громадянином Грузії, вона повинна здати єдиний національний екзамен. Раніше існували бюрократичні перешкоди, але нині ситуація змінилась. Якщо учень вирішить продовжити навчання у Грузії, він може без перешкод отримати ваучер і наступного ж дня включитись у навчальний процес. Якщо дитина не є громадянином Грузії, вона купує ваучер і тоді іде на навчання. Якщо раніше батьки мусили клопотати про документи і чекати поки атестат надішлють з іншої країни, то сьогодні ця проблема вирішена. Об'єднання всіх недільних шкіл під єдину програму забезпечить належне визнання рівня освіти отриманої там. Наприклад, дитина, яка за національністю грузин та має українське громадянство, після закінчення недільної школи може одразу без національних екзаменів потрапити до грузинської вищої школи, хоча не може отримати грант від держави, оскільки це привілей громадян Грузії. Якщо ж має бажання отримати таку державну допомогу, мусить здати усі чотири національні екзамени.

- Наскільки вдала сертифікація вчителів, і чи будуть

კვალიფიკაციის ამაღლება. ვფიქრობ, რომ სისტემა, რომელიც ჩვენ შევექმენით ერთ—ერთი ყველაზე სამართლიანია ამ თვალსაზრისით. სახელმწიფო მეტს ითხოვს პედაგოგებისაგან — უფრო მეტი ტრენინგ-კურსების გავლას, ახალი მასალის ათვისებას — ამაღდროულად აფასებს მათს შრომას.

ჩვენ გვყავს მასწავლებლები, რომელთა ხელფასი 1000 ლარს შეადგენს, მაგრამ იმისთვის, რომ პედაგოგმა მიიღოს ეს ხელფასი, მან უნდა ჩააბაროს პროფესიული უნარები და საგანი, ინგლისური და კომპიუტერული ენა. ეს არის უმნიშვნელოვანესი პროცესი, ერთი მხრივ ჩვენ ვითხოვთ, მეორე მხრივ ვაფასებთ მათს ცოდნას. ეს კი დიდ სტიმულს მისცემს ახალგაზრდებს სამომავლოდ მასწავლებლის პროფესიის ასარჩევად. 2014 წლამდე პედაგოგთა სერტიფიცირება ნებაყოფლობითია. 2014 წლის შემდეგ კი მასწავლებელს, რომელსაც სურს სკოლაში მუშაობა უნდა იყოს სერტიფიცირებული. ეს იქნება პედაგოგის მაღალი კვალიფიკაციის გარანტი,

— რა მიზანს ისახავს და რამდენად წარმატებულია პროექტი „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ?

— ეს არის პროექტი, რომლის ფარგლებში ყოველწლიურად ჩამოგვეყავს უცხოელი მასწავლებლები ამერიკიდან, კანადიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ავსტრალიიდან. ისინი ქართველ მასწავლებლებთან ერთად მუშაობენ სკოლებში და ბავშვებს ინგლისურ ენას ასწავლიან. ძალიან სერიოზული შედეგი ვნახეთ ერთი წლის განმავლობაში. წელს პირველად 75%—მა ინგლისური ენა აირჩია გამოცდებზე ჩასაბარებლად. როცა ბავშვი ირჩევს ამა თუ იმ ენას, ის კომფორტულად გრძნობს თავს გამოცდის ჩაბარებისას ამ ენაზე. ამ პროგრამით ჩვენ ძალიან დიდ შედეგს ვიღებთ. გარდა ამისა, პედაგოგები არამარტო ასწავლიან ბავშვებს, არამედ ისინი ცხოვრობენ ჩვეულებრივ სახლებში, სოფლებში და მათი ინტეგრირება ხდება საზოგადოებაში. როდესაც უცხოელი პედაგოგები ბრუნდებიან თავიანთ ქვეყნებში, ისინი ხდებიან საქართველოს კულტურის ელჩები.

— რატომ გახდა აუცილებელი მანდატურის პროექტის შემოღება სკოლებში?

— უმნიშვნელოვანესი წარმატება, რაც დღეს გვაქვს საქართველოს სკოლებში უსაფრთხოების დამყარებაა. ბოლო კვლევებით მოსახლეობამ სკოლებში უსაფრთხოების მაჩვენებელი 76%—ით შეაფასა, რაც წლების წინ მხოლოდ 7%—ს შეადგენდა. სწორედ მანდატურების სისტემის დამსახურებაა, რომ სკოლებში წესრიგიდამყარდა და მშობლებს ბავშვების სკოლაში გაშვების აღარ ეშინიათ. ჩვენი ოპონენტებიც კი ერთხმად აღიარებენ სკოლებში წესრიგის დამყარებას. ბევრი იყო თავიდან ამ პროგრამის მიმართ კრიტიკულად განწყობილი, მაგრამ საბოლოოდ ყველა დარწმუნდა, რომ ეს იყო დროული გადაწყვეტილება, რადგან უდისციპლინოდ შუქლებელია განათლების მაღალი ხარისხი. ნოემბერში ჩვენ ველოდებით დიდ დელეგაციას ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ამერიკის მანდატურის ასოციაციათა ხელმძღვანელობა ჩამოდის საქართველოში, რათა ჩვენი გამოცდილება გაიზიარონ.

— რა პროექტებზე მუშაობს სამინისტრო ამჟამად და რა

викладати у 2014-му році у школах несертифіковані вчителі?

- Дуже важливим є для нас підвищення кваліфікації вчителів. Гадаю, система, яку ми створили, є однією із найбільш оптимальних. Держава вимагає більше від педагогів, проходження ще більшої кількості майстер-класів, освоєння нових матеріалів, і водночас гідно оцінює їхню працю.

Ми маємо вчителів, зарплата яких складає 1000 ларі. Але щоб отримувати таку зарплату педагог має скласти іспит із професійних навичок – володіння англійською та знання комп'ютера. Це є найважливішим процесом, тобто з одного боку ми вимагаємо, з іншого – гідно оцінюємо їхні знання. А це у свою чергу дає великий стимул молоді у майбутньому вибрати професію викладача. До 2014-го року сертифікація педагогів відбувається за бажанням, після 2014-го – викладач, який хоче працювати у школі, мусить пройти сертифікацію. Це буде гарантією його високого професіоналізму.

- Яка мета і наскільки успішний проект «Навчай та вивчай разом з Грузією!»?

- Це проект, у рамках якого ми щороку привозимо до Грузії іноземних викладачів з Америки, Австралії, Великої Британії та Канади. Вони разом з грузинськими вчителями працюють у школах і навчають дітей англійської мови. Через рік після такої роботи ми побачили дуже серйозний результат. Цього року вперше 75% дітей обрали іспит з англійської мови. Коли дитина обирає ту чи іншу мову вона комфортно почувається під складання іспиту цією мовою. За цією програмою ми отримуємо дуже високий результат. Іноземні педагоги не тільки навчають дітей, а й живуть у звичайному грузинському середовищі, і коли вони повертаються на Батьківщину, то стають культурними послами Грузії.

- Чому стало обов'язковим запровадження в школах мандатурного проекту?

- Важливим досягненням у грузинських школах є налагодження системи безпеки. Згідно останніх досліджень, показник безпеки населення оцінює у 76% . Кілька років тому цей показник складав 7%. Власне заслугою мандатурної системи є те, що в школах панує порядок, батьки не бояться відправляти своїх дітей до школи. І це визнають навіть наші опоненти. Чимало людей були налаштовані скептично стосовно цієї програми, та врешті-решт усі переконалися, що це було своєчасне рішення, оскільки без дисципліни високоякісна освіта неможлива. У жовтні ми очікуємо велику делегацію зі США. Керівництво американської мандатурної асоціації приїжджає до Грузії аби перейняти наш досвід.



სიახლეებს გეგმათ უახლოეს მომავალში?

— ჩვენ გეგმავდებით კიდევ ერთი ძალიან დიდი რეფორმისთვის, რომელსაც ჰქვია E—School. ყველა საჯარო სკოლა ინტერნეტშია შეერთებული და მომავალი წლიდან ყველა კომპიუტერული ლაბის განახლება მოხდება. E—School არის ძალიან ვრცელი პროგრამა და ითვალისწინებს სკოლების ელექტრონულ მართვას ანუ უკვე გაწერილია როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლის პროგრამები და ეხლა ხდება მისი იმპლიმენტაცია. ნოემბრიდან რამდენიმე სკოლაში ვიწყებთ ამ პროგრამის პილოტირებას და ინვერიდან უკვე სხვა საჯარო სკოლებშიც დაინერგება. მშობელს ამ ელექტრონული ბაზის საშუალებით შეუძლია დააკვირდეს, როგორ სწავლობს მისი შვილი. ნახოს მისი აკადემიური მოსწრება, ნიშნები და ის შენიშვნები, რაც ბავშვმა სკოლაში მიიღო. ეს კი მნიშვნელოვნად გაზრდის მშობლების ჩართვის დონეს სასწავლო პროცესში.

P.S ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ პასუხი გავგეცა იმ შეკითხვებსა და აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ქართულ დიასპორას, განსაკუთრებით საკვირაო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს აინტერესებდათ. სხვა სიახლეებისა და გეგმების შესახებ შეგიძლიათ ინფორმაცია იხილოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.mes.gov.ge

ესაუბრა ლელა კიკაელიშვილი

ჟურნალ „საქართველოს“ რედაქცია მადლობას უხდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს საინტერესო საუბრისათვის.

- Над якими проектами працює Міністерство зараз і які плани на найближче майбутнє?

- Ми готуємося до ще однієї масштабної реформи під назвою E-School. Усі школи об'єднані за допомогою інтернет-простору, і з наступного року відбуватимуться удосконалення у цій системі. E-School – це дуже широка програма, яка передбачає електронне керування школами. Тобто вже розписано програми для учнів та вчителів і зараз відбувається їх імплементація. З листопада в кількох школах впроваджується пілотна версія цієї програми, з січня програма поступово втілюватиметься в усіх інших школах. За допомогою цієї електронної бази батьки зможуть спостерігати за академічними досягненнями своєї дитини, оцінками та зауваженнями які вона отримала в школі. А це у свою чергу значно підвищить рівень причетності батьків до навчального процесу.

P.S. Ми максимально намагалися відповісти на всі актуальні запитання, які турбують грузинську діаспору, а особливо педагогів та учнів недільних шкіл. Про інші новини та плани можете отримати інформацію на офіційному сайті Міністерства освіти та науки www.mes.gov.ge.

Розмовляла Лела Кікалейшвілі

Редакція журналу «Сакартвело» висловлює подяку міністру освіти та науки за цікаву розмову.

„მე არასოდეს არ წავსულვარ საქართველოდან...“

«Я НІКОЛИ НЕ ПОЛИШАВ ГРУЗІЇ...»

მასზე ღრმა ბავშვობიდან მესმის... ჩემს მშობლიურ ქალაქ ზუგდიდში ბევრისთვის მეგობარია, ახლობელი, ზოგისთვისაც - ნათესავი.

რაულ ჩილაჩავაზე გაგონილმა ამბებმა ყმაწვილობაში მის ლექსებში გადაინაცვლეს (ჩემი რესპოდენტის თანატოლმა და თანასოფელელმა პოეტის ერთ-ერთი კრებული მაჩუქა)...


„საქართველოსთვის“ მასთან ინტერვიუ ჩავწერე, ვირტუალურად, უნახავად.

იმედი მაქვს, პირისპირ საუბრის დღეც არც ისე შორია.

– თქვენი რეგალიების ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანს, რომ არაფერი ვთქვათ, ათეულობით წიგნსა და ლიტერატურულ კვლევებზე. უპირველესად, ვინ არის რაულ ჩილაჩავა – პოეტი, მთარგმნელი, ლიტერატურული მკვლევარი თუ დიპლომატი?

– თქვენ თითქმის ყველა ის სფერო ჩამოთვალეთ, სადაც მეტნაკლებად მიმუშავია და ვიმედოვნებ, მცირედენი კვალი დამიტოვებია. მიუხედავად ასეთი „მრავალდაზგიანობისა“ (მე პუბლიცისტიკაშიც ვცდი კალამს და წლების მანძილზე უნივერსიტეტის პროფესორი ვარ), თავი, უპირველესად, მაინც პოეტი მგონია, თუმცა ეს საკმარისი არაა საიმისოდ, რომ სხვებსაც ასე ეგონათ. ერთ ასეთ ამბავს გავიხსენებ. თურქეთის საპაროზილში ჩვიდმეტწლიანი პატიმრობის შემდეგ მოსკოვს ჩასული გამოჩენილი თურქი პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი გაოცებული იყო თურმე, როცა გაცნობისას რუსი კოლეგები ეუბნებოდნენ, ესა და ეს პოეტი ვარო. „როგორ შეიძლება კაცს უთხრა, რომ პოეტი ხარ, ეს ხომ იგივეა, რაც საკუთარი კაი კაცობის მტკიცება!“ – შენიშნავდა იგი მოგვიანებით. იქნებ თურქი მგოსანი ცოტას აჭარბებდა, მაგრამ ზოგადად, ალბათ, არ ცდებოდა. პოეტობა უზენაესი ნიჭია და გალაკტიონი ან ტერენტი უნდა იყო, რომ ამტკიცო: „ძაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის“; „პოეზიაში ვარ უდიდესი“ და ა.შ. ეს სხვებმა უნდა შენიშნონ და აღიარონ. მართალია, ჩემი პოეტობა დღემდე ეჭვქვეშ არავის დაუყენებია, მაგრამ მე მუდამ მიჭირს ამაზე ლაპარაკი. რაც შეეხება სხვა სფეროებს, პოეზიისთვის არც იქ მიღალატია. ჩემი სამეცნიერო კვლევის საგანი იყო და არის პოეტური თარგმანი, კომპარატივისტიკა, ლიტერატურული ურთიერთობანი. ელჩობის დროსაც ათზე მეტი წიგნი დავეწერე, ვთარგმნე და გამოვეცი. მათ შორისაა ლექსთა კრებულები, თარგმანები, სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაწერები. მე შევეცადე დიპლომატიაშიც აღმოვეჩინა რაღაც საერთო პოეზიასთან და, ვგონებ, აღმოვაჩინე კიდევ – ესაა ადამიანის სულში წვდომა, მისი ფსიქოლოგიის გაგება–გაშიფვრა და რაც მთავარია, პიროვნებებსა და ქვეყნებს შორის არა მარტო პოლიტიკურ–ეკონომიკური, არამედ სულიერი ხიდების გადებაც.

– თქვენს ყველა ინტერვიუში ბავშვობას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა – გაიხსენეთ პატრიარქალურ ოჯახში გაზრდილი მობარდი რაული, რაზე ოცნებობდა, ამასთან, მოგვიყვით



რო ნього я багато чув з раннього дитинства... В моєму рідному місті Зугдіді він для багатьох є другом, знайомим, близьким родичем.

Одного разу мені подарували одну із збірок його віршів. Так я познайомився з його творчістю. Інтерв'ю з ним для журналу «Сакартвело» я записав з нашого листування.

Сподіваюсь, що на безпосередню зустріч з ним не доведеться довго чекати.

– Для переліку всіх Ваших звань забракне й дня. Не кажу вже про десятки Ваших літературних праць та наукових досліджень. Тож хто такий Рауль Чілачава – поет, перекладач, літературний дослідник чи дипломат?


– Ви перелічили майже всі сфери, в яких я хоч трохи працював і, сподіваюсь, так чи інакше залишив свій слід. Незважаючи на таку «багатоверстатність» (я пробую сили і в публіцистиці, і роками професорую в університетах), перш за все вважаю себе поетом, хоча цього мало, щоб й інші вважали так само. Пригадаю такий випадок: після сімнадцяти років ув'язнення видатний турецький поет Назим Хікмет приїхав до Москви і, як переказують, був дуже здивований, коли російські колеги під час знайомства казали: «Я поет такий то такий...». «Хіба ж може людина стверджувати, що він поет? Адже це як запевнення, що ти шляхетний, благородний», - зазначав він пізніше. Можливо турецький літератор дещо перебільшував, втім не дуже й помилявся. Бути поетом - це благодать. Ти маєш бути Галактіоном або Терентієм Гранелі, щоб заявити: «Нитки нерву нема в мені непоета», - В

იმდროინდელ ყოფაზე.

– მე მართლაც ძველებურ ქართულ ოჯახში გავიზარდე, სადაც თავკაცი პაპაჩემი ანუ დედის ბაბუა იყო. მასსოვს ბედნიერი ხანა, როცა სადილობისას მაგიდასთან ათი–თორმეტი სული ვისხედით. პაპა პატარებსაც დიდების გვერდით დაგვსვამდა და ჩვენებურ ადათ–წესებს იმთავითვე გვაჩვენდა. პაპა სოლომონი იყო ჩემი პირველი და დაუვიწყარი ჩიჩერონე ბავშვობის ჯადოსნურ სამყაროში, სადაც ყველაფერია შესაძლებელი და მეც ამ „შესაძლებლობებს“ მაქსიმალურად ვიყენებდი. ყველაზე მეტად წაკითხული წიგნების გმირთა როლებს ვირგებდი და ვფიქრობდი, თუ როგორ მოვიქცეოდი მათ ადგილას. დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ეს იყო ერთგვარი ვირტუალური თამაში, რომელმაც თანდათან მიმიყვანა მწერლობამდე. ეს თამამი ლტოლვა იმანაც განაპირობა, რომ ჩვენი კარის მეზობელი და პაპაჩემის სიყრმის მეგობარი იყო კონდრატე თათარიშვილი ანუ უიარაღო, უკვდავი „მამელუკის“ ავტორი. თუკი ჩვენს უბანში ერთხელ უკვე დაიბადა კალმის ასეთი ოსტატი, რატომ არ შეიძლება ისტორია განმეორდეს–მეთქი, ვიფიქრე და საკმაოდ მედიდური იდეა ავიკვიატე. იქიდან მოყოლებული მისთვის დღემდე არ მიღალატია, თანაც სულ იმის გარკვევას ვცდილობ, რამდენად შევძელი მისი ხორცშესხმა. რაც შეეხება ჩემი სიყრმის დროინდელ ყოფას, ეს დიდი თემაა და მას რამდენიმე თავი მივუძღვენი კიდევ მოგონებების საკმაოდ სქელტანიან წიგნში „უვადო მივლინება“. ისე ორიოდ სიტყვით მოგასხენებთ, რომ ჩემი სოფელი ძველი აბასთუმანი იყო ცივილიზაციისგან შეურყვნელი ანკლავი, სადაც თითქმის სკოლის დამთავრებამდე არ გვქონდა ელექტრობა და შესაბამისად რადიო თუ ტელევიზორი. მოძრავი კინოდანადგარი წელიწადში რამდენჯერმე თუ გვეწვოდა. სწორედ ამ ინტელექტუალურ დისკომფორტს ვუმაღლი წიგნის სიყვარულს, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა ჩემი პროფესიული არჩევანი.

– ერთგან წერთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან კიევის უნივერსიტეტში 2 წლიანი სტაჟირებით წასვლამ რადიკალურად შეცვალა თქვენი ცხოვრება. მაშინ გიფიქრიათ რომ ამდენი ხანი დარჩებოდით იმ დროისთვის უცხო მხარეში?

– ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მე საქართველო არასოდეს დამიტოვებია. სულიერად, ცხადია. ფიზიკურ სიშორეს კი დღემდე ისევე განვიცდი, როგორც მაშინ, 44 წლის წინათ, როცა პირველად დავტოვე სამშობლო, დედ–მამა, და–ძმანი, მეგობრები და სრულიად მარტო სხვა სამყაროში აღმოვეჩნდი. სამწუხაროდ, მე ძალიან გვიან მომხვდა თვალში რემბრანდტის შეგონება, რომლითაც მას მიუმართავს შორეულ ქვეყნებში სამოგზაუროდ გამზადებული ახალგაზრდა მხატვრისთვის: „დარჩით შინ. თქვენ მთელი ცხოვრება არ გეყოფათ იმ სასწაულების შესაცნობად, რაც აქ იმალება!“ მე არ დავრჩი. არ დავრჩი და ახლა ვდარდობ იმ შინაურ სასწაულებზე, რომელთა შეცნობასაც, ალბათ, უკვე ვეღარ მოვასწრებ. ვწერ ამას და მახსენდება აპოლინერი: „თუ საკუთარი სახლი გიყვარს, მას რაც შეიძლება შორს უნდა გავცალო“. მახსენდება ოთარ ჭილაძე: „და მეყარვება მშობლების სახლი, აუტანელი და საყვარელი...“



поезії я найвеличніший» і т.д. Це мають помічати і визнавати інші. Щоправда, мої поетичні здібності досі ніхто під сумнів не брав, але мені завжди важко про це говорити. Стосовно інших сфер, то поезії я й там не зраджував. Предметом моїх наукових досліджень були і є поетичний переклад, компаративістика, літературні взаємини. Під час роботи послом написав, переклав і видав понад 10 книжок. Серед них збірки віршів, переклади, наукові та публіцистичні праці. Я і в дипломатії спробував знайти щось спільне з поезією. І, думаю, таки знайшов. І там і тут потрібно збагнути душу іншої людини, зрозуміти її психологію і, що найважливіше – налагоджувати стосунки між країнами і особистостями, і не лише політичні й економічні, але й духовні.

– В усіх Ваших інтерв'ю особливе місце посідають розповіді про дитинство. Згадайте про що мріяв юний Рауль, який виховувався в патріархальній сім'ї? Розкажіть про той час.

– Так, я й справді виріс в традиційній грузинській сім'ї. Главою родини був мій прадід з боку матері. Пригадую щасливі часи, коли за обіднім столом збиралось по 10–12 осіб. Прадід садив всіх дітей біля себе і змалку привчав до народних звичаїв. Прадід Соломон був моїм першим та незабутнім наставником в чарівному світі дитинства, де все здається можливим. І я всі ті «можливості» використовував сповна. Найбільше любив уявляти себе в ролі героїв прочитаних мною книжок і міркувати, як би сам учинив на їхньому місці. Кажучи сучасною мовою, це була своєрідна віртуальна гра, яка поступово привела мене до письменництва. Це сміливе прагнення обумовило й те, що нашим сусідом і другом дитинства мого прадіда був Кондрате Татарішвілі, автор



ლიდედასთან, ბებიასთან და უმცროს ძმასთან
З БАБУСЯМИ ТА МОЛОДШИМ БРАТОМ

– *ამბობთ, რომ საკუთარ თავს ქართულად ესაუბრებით, მეუღლეს და ვაჟიშვილებს – რუსულად, უკრაინული კი თქვენთვის სალიტერატურო დონეზეა ახლო. რომელ ენაზე წერა გსიამოვნებთ და გიადვილდებათ ყველაზე მეტად?*

— მე სამ ენაზე შემიძლია თავისუფლად ვწერო და ვწერ კიდევ, მაგრამ განა საკითხავია, რომ მშობლიურ ენაზე წერა გაცილებით იოლიცაა და სასურველიც.

– *საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინის სახელმწიფო სამსახურში აღმოჩნდით, 2005 წელს კი დიპლომატიას გააყვევით. საჯარო პოლიტიკა, დიპლომატიური ურთიერთობა გედმეტად პრობაულად ხომ არ მიგაჩნიათ? როგორ შეძელით ამ საქმეში საკუთარი თავის პოვნა?*

– საკუთარი თავი, როგორც ზემოთ შევნიშნე, საკმაოდ ადრე ვიპოვე, ამიტომ ყველა სამსახური ჩემთვის უმთავრესად ფინანსური შემოსავლის წყარო, სოციალური ძნელდებლობისგან დამცველი თავისებური ქოლგა იყო. საბჭოთა პერიოდში მე პრაქტიკულად არ მიმსახურია და წმინდა წყლის „წიგნის კაცად“ ვრჩებოდი, სანამ საბჭოეთმა ჩვენი ჭირი არ წაიღო, ხოლო დამოუკიდებლობამ სხვა ათასი ჭირი არ მოგვავსია თავს. თანაც აქვე გეტყვით ჩემი სახელმწიფო სამსახური (მართალია, სხვის ქვეყანაში, რადგან ჩემსაში არავის არაფერში დაეჭირდი!) მეტნაკლებად მუდამ პუმანიტარულ საკითხებთან იყო დაკავშირებული. ის კი არა და, ბედის მადლობელიც კი ვარ, რომ ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს უკრაინის

